ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7322639

ნომერი: AR11067656

თარიღი : 04.12.2024

გაცემის თარიღი : 17.12.2024

გაცნობის თარიღი : 17.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 55;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (ოფისი, სასადილო (კაფე), ტექნიკური შენობა)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გივი მაჭავარიანი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: რუბიკონი-1
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202909059

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს რუბიკონი-1
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202909059

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოთარ ბერიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62031007266

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7226219
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.09.2024

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2024 წლის 23 სექტემბრის №7226219 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 სექტემბრის №7226219 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), ჩუბინაშვილის ქ. №55-ში, შპს „რუბიკონი-1“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.16.01.008.003) მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 23 სექტემბრიდან 2024 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

2024 წლის 04 დეკემბრის №AR11067656 განცხადებით მოგვმართა მოქ. ია ჩეხერიამ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2024 წლის 23 სექტემბრის №7226219 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ი. ჩეხერიას 2024 წლის 04 დეკემბრის №AR11067656 ელექტრონული განცხადება.

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 სექტემბრის №7226219 ბრძანებაში კერძოდ ჩანაწერი "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 23 სექტემბრიდან 2024 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად" შეიცვალოს "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 17 დეკემბრიდან 2025 წლის 17 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად"

3. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) გარე კიბის მოწყობა, პანდუსის მოწყობა.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 1415 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 სექტემბრის №7226219 ბრძანებასთან ერთად.

---

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.